ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №73658

ნომერი: AR127486

თარიღი : 03.03.2012

გაცემის თარიღი : 07.03.2012

გაცნობის თარიღი : 09.03.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბულაჩაური , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვაჟა ქოქრაშვილი პ/ნ 01022004670
- თბილისი ანა კალანდაძის ქ. N 4 ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. თქვენს მიერ არ არის სწორად შერჩეული ნომენკლატურა. აღნიშნული სამუშაოები არ საჭიროებს ძირითად შეთანხმებულ პროექტში ცვლილებებს, ნებართვა გაიცემა დამოუკიდებლად. შესაბამისად ელექტრონული განცხადების დარეგისტრირებისას უნდა აირჩიოთ I კლასი – "კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა " (კორექტირების გარეშე). რის შემდგომაც ველები – ".სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"–ს შევსება სავალდებულო აღარ იქნება.
2. ახალი განაცხადის შევსებისას საჭიროა საკადასტრო კოდში მიუთითოთ საპროექტო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი (წილობრივი მონაცემებით).
3. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ/მესაკუთრეებმა ან შესაბამის ველში აიტვირთოს მისი/მათი მინდობილობა/რწმუნებულება.
4. საჭიროა "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს და "ფოტომონტაჟი"–ს ველებში ატვირთულ იქნას ახლო და შორი მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.